MES 1 23 0000325966

22/03/2023

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 103-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით **2023 წლის 7 მარტს 14:00 საათზე**. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომის დაწყებამდე 10 წუთით ადრე ცენტრის ვებგვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებული პირი შეძლებდა საბჭოს სხდომაზე ჩართვას ონლაინ.
https://us02web.zoom.us/j/2234959888
Meeting ID: 223 495 9888
Passcode: 2022

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში -საბჭო) წევრები:

შორენა ჯაფარიძე - პროფესიული განათლების ექსპერტი / საბჭოს თავმჯდომარე;
ნინო ელბაქიძე - გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) პროფესიული განათლების პოლიტიკის სპეციალისტი / საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
ნინო გორგოშაძე - სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მეზღვაურთა დეპარტამენტის უფროსი / საბჭოს წევრი;
გიორგი ვეკუა - სსკ - საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ბიზნესისა და რეგიონული განვითარების დეპარტამენტის დირექტორი / საბჭოს წევრი;
ვალერი გულბანი - ა(ა)იპ - ის - კვლევა და ინოვაცია ბიზნესის განვითარებისთვის დირექტორი / საბჭოს წევრი;
ხათუნა ჩხარტიშვილი - სს „გუდვილის“ HR დეპარტამენტისა და სასწავლო ცენტრის ხელმძღვანელი / საბჭოს წევრი.
რუსუდანგიგაშვილი - ა(ა)იპ - აგრო დუოს თავმჯდომარე / საბჭოს წევრი;
ტიტე ბოლქვაძე - პროფესუილი განათლების ექსპერტი / საბჭოს წევრი;
მარიამ ქუჩულორია - ა(ა)იპ ევროპული ბიზნეს ასოციაციის გენერალური დირექტორის მოადგილე / საბჭოს მდივანი;

სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის(შემდგომში- ცენტრი) წარმომადგენლები:

ნანი დალაქიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ქეთევან ციხისელი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;
ლელა კიკნაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
ლონდა მინდიაშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
ნია გუგუნავა - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
მაყვალა დარსანია - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
ნათია მჭედლიძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები:

- ქეთევან ბოტკოველი
- თამარ ახალაძე
- ირმა არსენაშვილი
- ეკატერინე გიგაშვილი
- თათია გივიშვილი
- ქეთევან ჯანელიძე
- მამუკა ხოშტარია
- გივი დოლიძე

საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

სსიპ - კოლეჯი „აისი“
დირექტორი - მალხაზ ასლამაზაშვილი
დირექტორის მოადგილე - დავით პაპაშვილი
ხარისხის მართვის მენეჯერი - ლელა ბერიაშვილი
იურისტი - გვანცა პაკატილოვი

სსიპ - კოლეჯი „ლაკადა“
დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი - თეანა ქუხილავა
ხარისხის მართვის მენეჯერი - თამარ მანია

სსიპ - კოლეჯი „თეთნულდი“
დირექტორი - ირმა ჯაფარიძე

საბჭოს სხდომის დაწყების დრო - 14:05 საათი.

ქალბატონი შორენა ჯაფარიძე მიესალმა საბჭოს წევრებს, ექსპერტებს, ცენტრისა და დაწესებულებების წარმომადგენლებს. მან განცხადება გააკეთა იმასთან დაკავშირებით, რომ სხდომის ოქმის პროექტის მომზადების მიზნით, მოხდებოდა სხდომის აუდიოჩაწერა და აუდიოჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. დამსწრეთა სრული შემადგენლობა დაეთანხმა აღნიშნულს. რამდენადაც ფოტო და ვიდეოგადაღება ნებართვის გარეშე აკრძალულია, ცენტრის წარმომადგენელმა ითხოვა ფოტოგადაღების ნებართვა ცენტრის ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში გამოსაქვეყნებლად, რაზეც მიიღო დამსწრეთა თანხმობა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მონაწილეებს გააცნო **დღის წესრიგი:**

1. სსიპ - კოლეჯი აისისთვის გურჯაანის მუნიციპალიტეტში „საექთნო განათლების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა;
2. სსიპ - კოლეჯი აისისთვის ახმეტის მუნიციპალიტეტში „საექთნო განათლების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა;
3. სსიპ - კოლეჯი აისისთვის ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში „მეფუტკრეობის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა;
4. სსიპ - კოლეჯი აისისთვის გურჯაანის მუნიციპალიტეტში „ვეტერინარიის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა;
5. სსიპ კოლეჯ ლაკადაში საგანმანათლებლო პროგრამების - "ხის მხატვრული დამუშავება" და "შედუღება" - ფარგლებში განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;
6. სსიპ - კოლეჯ "თეთნულდის" საგანმანათლებლო პროგრამის "ხის მხატვრული დამუშავება" მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, ჰქონდათ თუ არა რამე შუამდგომლობა დღის წესრიგთან დაკავშირებით. შუამდგომლობა იქნა წარმოდგენილი დღის წესრიგთან დაკავშირებით, ექსპერტმა ეკატერინე გიგაშვილმა ითხოვა საკითხების გადანაცვლება, კერძოდ, სსიპ - კოლეჯ აისისთვის ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში „მეფუტკრეობის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატებისა და გურჯაანის მუნიციპალიტეტში „ვეტერინარიის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხების განხილვა გადავიდა პირველ და მეორე საკითხებად.

განახლებული დღის წესრიგი:

1. სსიპ - კოლეჯი აისისთვის ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში „მეფუტკრეობის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა;
2. სსიპ - კოლეჯი აისისთვის გურჯაანის მუნიციპალიტეტში „ვეტერინარიის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა;
3. სსიპ - კოლეჯი აისისთვის გურჯაანის მუნიციპალიტეტში „საექთნო განათლების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა;

4. სსიპ - კოლეჯი აისისთვის ახმეტის მუნიციპალიტეტში „საქართველო განათლების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა;
5. სსიპ კოლეჯ ლაკადაში საგანმანათლებლო პროგრამების - "ხის მხატვრული დამუშავება" და "შედუღება" - ფარგლებშიგანხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;
6. სსიპ - კოლეჯ "თეთნულდის" საგანმანათლებლო პროგრამის "ხის მხატვრული დამუშავება" მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;

პირველი საკითხი: სსიპ - კოლეჯი აისისთვის ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში „მეფუტკრეობის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფების დასკვნებსა და დასკვნის პროექტებზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციებს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფების დასკვნებს. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნებს. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფების დასკვნები დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე ქეთევან ბოტკოველი მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო ვიზიტის საერთო მიმოხილვით. მან აღნიშნა, რომ პრეზენტაციას წარადგენდა თავად დარგის ექსპერტთან ერთად.
მისი განცხადებით, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების თანახმად შექმნილ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტების ჯგუფს დაევალა სსიპ კოლეჯ ,,აისში“ (ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი, სოფ. შრომა). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ‘’მეფუტკრეობა“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის No99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება. ექსპერტების ჯგუფმა შეისწავლა სსიპ კოლეჯ "აისის"

მიერ განაცხადით წარმოდგენილი დოკუმენტაცია და 2023 წლის 17 იანვარს განახორციელა ვიზიტი, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის, სოფ. შრომაში, წინასწარ შეთანხმებული დღის წესრიგის შესაბამისად, ვიზიტის პერიოდში გასაუბრება ჩატარდა დაწესებულების დირექტორთან, დირექტორის მოადგილესთან, ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და პროფესიული მოდულების განმახორციელებლებთან. ექსპერტების მიერ შემოწმდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო აღჭურვილობა, მატერიალური რესურსი და ბიბლიოთეკაში სასწავლო რესურსების ხელმისაწვდომობა, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მდგრადობა, სასწავლო პროცესის პრაქტიკული ორგანიზებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა. ვიზიტის დასასრულს ექსპერტთა ჯგუფმა დაწესებულების წარმომადგენლებს გააცნო წარმოების ფარგლებში იდენტიფიცირებული მიგნებები და შეაჯამა ვიზიტი. ექსპერტთა შეფასებით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „მეფუტკრეობა“ ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან მიმართებაში შეფასდა მეტწილ შესაბამისად.

საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა:
კოლეჯ „აისის“ ლაგოდეხის ფილიალში 2017 წლის გაზაფხულზე სასწავლო კორპუსს ჩაუტარდა სარემონტო სამუშაოები. იგი ამჟამად თანამედროვე დონეზე რეაბილიტირებული, ახალი ტექნოლოგიებით აღჭურვილი პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაა, რომელიც კვლავ აგრძელებს განვითარებას და რომლის საუკეთესო მაგალითია ახალი სახელოსნოების მშენებლობა.

სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

2.2.1.1 ექსპერტის განცხადებით, კოლეჯ „აისის“ ლაგოდეხის ფილიალის ეზოში 900 კვ. მეტრზე განთავსებულია სადემონსტრაციო საფუტკრე მეურნეობა 75 სკით. შესაბამისად დადგინდა, რომ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის გეგმის შესრულების შემდგომ, სრულად უზრუნველყოფილი იქნება თვით დაწესებულებაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. ექსპერტთა მიერ ინდიკატორი შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი.

განმავითარებელი რეკომენდაციები:
2.2.1.3 სასურველია პროფესიული მოდულების მასწავლებლებმა გაიარონ ტრენინგები მოდულური პროგრამებით სწავლებისა და შეფასების საკითხებზე, ასევე შრომის უსაფრთხოების და სურსათის უვნებლობის თანამედროვე სტანდარტებთან დაკავშირებით.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „მეფუტკრეობა“

ექსპერტის განცხადებით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მეფუტკრეობის“ სწავლის შედეგების მიღწევის მიზნით, დაწესებულებას შეძენილი აქვს ძირითადი საჭირო აღჭურვილობა. დაწესებულებას აქვს საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკით გათვალისწინებული, სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი, კერძოდ - 2 A გარემო. ორივე გარემოში განთავსებულია შესაბამისი ინვენტარი. რაც შეეხება C გარემოს, ვიზიტის პერიოდში კოლეჯში მიმდინარეობდა მშენებლობა, რომლის დასრულებაც კოლეჯის მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის გეგმის თანახმად (დამტკიცებულია სსიპ კოლეჯის "აისი" დირექტორის 06.12.2022 წ. #-02-01-425 ბრძანებით), დაგეგმილი იყო მიმდინარე წლის 30 თებერვალს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ

მშენებლობა დასრულებულია და მასში მიმდინარეობდა შიდა სამუშაოები. ახალ შენობაში „მეფუტკრეობის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის გამოყოფილია 3 ოთახი. ერთერთ მათგანში (80 კვ. მ) განთავსდება A გარემო, მეორე სივრცეში (80 კვ. მ) დაგეგმილია C გარემოს მოწყობა, რომელშიც განთავსდება პროგრამისათვის განკუთვნილი აღჭურვილობა, ხოლო მესამე სივრცეში განთავსდება გარემო სადურგლო სამუშაოებისთვის.
ამის შემდგომ ექსპერტებმა საბჭოს წევრებს წარუდგინეს ფოტომასალა და აღნიშნეს, რომ ფოტოები რომლებიც იქნა წარმოდგენილი საბჭოს მსვლელობის დროს, გადაღებულია ვიზიტის შემდეგ და გამოგზავნილია კოლეჯის მიერ საბჭოსთვის წარსადგენად. ვიზიტის დროს არ იყო დასრულებული მოპირკეთება.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საბჭო არ განიხილავს ვიზიტის შემდეგ წარმოდგენილ დოკუმენტაციას და ფოტოებს. ექსპერტების 2.2. კომპონენტის შეფასება მეტწილი შესაბამისობის შესახებ სრულიად მართებულია. მან მიმართა ექსპერტებს კითხვით, საერთოდ რამდენად შესაძლებელია წარმოდგენილი ფოტოების მიხედვით ვიმსჯელოთ, რომ სახელოსნო სრულად არის აღჭურვილი და სასწავლო პროცესი შეუფერხებლად განხორციელდება, შესაძლოა არის ისეთი ტიპის დანადგარები, რომლთა დამონტაჟებას სჭირდება დამატებითი შემოწმება ადგილზე.

თამარ ახალაძის განცხადებით, სათითაოდ ინახა ყველა რესურსი და დანადგარი, კოლეჯს აღნიშნული რესურსი შეძენილი ჰქონდა, უბრალოდ არ იყო შესაბამის ადგილებზე განთავსებული და დამონტაჟებული.

შორენა ჯაფარიძემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების დირექტორმა აღნიშნა, რომ C გარემო რეაბილიტირებულია. ასევე, პროფესია სტაციონალურ დანადგარებს არ გულისხმობს, შესაბამისად მისი გადაადგილება თავისუფლადაა შესაძლებელი. რაც შეეხება სადურგლო სამუშაოებს, მოწყობილია თავისუფალი სივრცე და არის სრულიად აღჭურვილი.

საბჭომ გამოიყენა სათათბირო დრო.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ გადაწყვეტილება მიღებული იყო ერთსულოვნად და სარწმუნოა, რომ ამ ფოტოების მიხედვით კოლეჯში მართლაც ყველაფერი ნორმებს შეესაბამება, თუმცა კანონმდებლობა არ აძლევდა საბჭოს იმის უფლებას, რომ გათვალისწინებული ყოფილიყო ვიზიტის შემდგომ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, მათ შორის ფოტოები.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა კითხვები. საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - კოლეჯი აისისთვის ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში „მეფუტკრეობის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 8
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - კოლეჯი „აისს“ (ს/კ: 2277708000) მიენიჭოს უფლება ლაგოდეხის მუნიციპალიტეტშიდამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული „მეფუტკრეობის“პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **(დანართი 1).** გად აწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2023 წლის 7 მარტი.

საბჭოს მიმართა ცენტრს შუამდგომლობით, ჩაინიშნოს მონიტორინგი 2.2 კომპონენტის შემოწმების მიზნით, მონიტორინგის განხორციელების პერიოდად განისაზღვროს 2023 წლის 20 აპრილი. მონიტორინგის ფორმად განისაზღვროს ადგილზე ვიზიტი.

მეორე საკითხი: სსიპ - კოლეჯი აისისთვის გურჯაანის მუნიციპალიტეტში „ვეტერინარიის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა;
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფების დასკვნებსა და დასკვნის პროექტებზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციებს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფების დასკვნებს. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნებს. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფების დასკვნები დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტის განცხადებით, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების თანახმად შექმნილ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტების ჯგუფს დაევალა ‘’ვეტერინარიის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ განაცხადისა და მასზე თანდართული დოკუმენტაციის

შესწავლა, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის – პროგრამის სპეციფიკისა და დაწესებულების რესურსების გათვალისწინებით. „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ბ.ბ) კომპონენტთან შესაბამისობის შეფასება ექსპერტების ჯგუფმა შეისწავლა სსიპ კოლეჯ "აისის" მიერ განაცხადით წარმოდგენილი დოკუმენტაცია და 2023 წლის 16 იანვარს განახორციელა ვიზიტი, გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფ. კაჭრეთში, წინასწარ შეთანხმებული დღის წესრიგის შესაბამისად, ვიზიტის პერიოდში გასაუბრება ჩატარდა დაწესებულების დირექტორთან, დირექტორის მოადგილესთან, ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და პროფესიული მოდულების განმახორციელებლებთან. ექსპერტების მიერ შემოწმდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო აღჭურვილობა, მატერიალური რესურსი და ბიბლიოთეკაში სასწავლო რესურსების ხელმისაწვდომობა. ვიზიტის დასასრულს ექსპერტებმა დაწესებულების წარმომადგენლებს გააცნეს წარმოების ფარგლებში იდენტიფიცირებული მიგნებები და შეაჯამეს ვიზიტი. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „ვეტერინარია“ სტუდენტთა რაოდენობა განსაზღვრულია 30-ით. ექსპერტის განცხადებით, პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ განაცხადის თანახმად და დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „ვეტერინარია“ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის საფუძველს წარმოადგენს გაზრდილი მოთხოვნა, რომლის დასაკმაყოფილებლად დაწესებულებას გააჩნია შესაბამის ადამიანური და მატერიალური რესურსი, რომელიც გამოანგარიშებულია კოლეჯში დამტკიცებული ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიით და იძლევა დამატებით 15 პროფესიული სტუდენტის სწავლების შესაძლებლობას. ექსპერტთა შეფასებით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე „ვეტერიანარია“ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის განაცხადი 2.2 კომპონენტთან მიმართებაში შეფასდა სრულ შესაბამისად.

საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

ექსპერტების მიერ, საუკეთესო გამოცდილებად შეფასდა კოლეჯის გუნდის მუდმივი სწრაფვა განვითარებისა და პროფესიული ზრდისკენ. ასევე კურსდამთავრებულების დასაქმება პროფესიულ მასწავლებლებად და მათ განვითარებაზე ზრუნვა. აღსანიშნავია ისიც, რომ კოლეჯ „აისის“ კაჭრეთის ბაზაზე ფუნქციონირებს 300 სტუდენტზე გათვლილი კეთილმოწყობილი სტუდენტთა პანსიონი, სადაც ყველა სტუდენტს შეუძლია იცხოვროს სახელმწიფოს დაფინანსებით.
„ვეტერინარიის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიმართულებით კოლეჯს აქვს სრულყოფილი მატერიალური ბაზა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა კითხვით ექსპერტებს, ვინაიდან აღნიშნული პროგრამა ხორციელდებოდა კოლეჯში, ხომ არ ჰქონდათ საშუალება სასწავლო პროცესის მსვლელობისთვის თვალყური ედევნებინათ, ასევე, თუ განხორციელდა შეფასების ინსტრუმენტების შემოწმება.
ექსპერტის განცხადებით, შემოწმდა შეფასების ინსტრუმენტები. მისი თქმით, სასწავლო პროცესი 2 ცვლაში მიმდინარეობდა, თუმცა სტუდენტებთან ინტერვიუ ექსპერტებს ან განუხორციელებიათ.
ტიტე ბოლქვაძემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს კითხვით, თუ რამ განაპირობა კონკრეტულად მხოლოდ 15 სტუდენტით ზღვრული რაოდენობის გაზრდა პროფესიულ

საგანმანათლებლო პროგრამაზე, რადგან, როგორც ექსპერტებმა აღნიშნეს, დაწესებულებას ჰქონდა შესაძლებლობა, მატერიალური რესურსის გათვალისწინებით უფრო მეტი სტუდენტი მიეღო.
კოლეჯის დირექტორის განცხადებით, მოცემული სიტუაციიდან გამომდინარე აუდიტორიები ისე არის მოწყობილი, გარკვეულწილად ფიქრობდნენ უფრო მეტი სტუდენტის მოთხოვნას, თუმცა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ვეტერინარია“ მიმდინარეობს ხანგრძლივად და მეორე მიღებაზე კოლეჯს არ ჰქონდა შესაძლებლობა , რომ სტუდენტები მიეღო, შესაბამისად მსურველები იყვნენ დაკარგული ან იდგნენ რიგში და ელოდებოდნენ როდის გაიზრდებოდა კვოტა, რომ ჩარიცხულიყვნენ. ამდენად ახლა ყოველ მიღებაზე კოლეჯს შეეძლება სტუდენტების მიღება, არ იგეგმება ერთიანად 45 სტუდენტის მიღება, იმიტომ რომ ბევრი დეტალია გასათვალისწინებელი დასაქმებასთან მიმართებაში, ამიტომ ცოტა ფრთხილად უყურებენ ამ საკითხს.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა კითხვები. საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - კოლეჯი აისისთვის გურჯაანის მუნიციპალიტეტში „ვეტერინარიის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 8
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 56-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - კოლეჯ „აისს“ (ს/კ: 227770800) გურჯაანის მუნიციპალიტეტში დანართით განსაზღვრულ „ვეტერინარიის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე გაეზარდოს პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა და განესაზღვროს 45-ით **(დანართი 2).** გადაწყვ ეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2023 წლის 7 მარტი.

მესამე საკითხი: სსიპ - კოლეჯი აისისთვის გურჯაანის მუნიციპალიტეტში „საექთნო განათლების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა;

მეოთხე საკითხი: სსიპ - კოლეჯი აისისთვის ახმეტის მუნიციპალიტეტში „საექთნო განათლების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხებთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფების დასკვნებსა და დასკვნის პროექტებზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციებს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფების დასკვნებს. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნებს. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფების დასკვნები დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე ეკატერინე გიგაშვილი მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო ვიზიტის საერთო მიმოხილვით ორივე ლოკაციის ფარგლებში. მან აღნიშნა, რომ პრეზენტაციას წარადგენდა თავად დარგის ექსპერტთან ერთად.
მისი განცხადებით, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე, ექსპერტთა ჯგუფმა სსიპ - კოლეჯ „აისში“, 2022 წლის 16 იანვარს გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კაჭრეთსა და ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ალვანში, განახორციელა ვიზიტები - „საექთნო განათლების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შექმნილი „საექთნო განთლების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით.
ექსპერტის განმარტებით, ვიზიტი განხორციელდა მცირედი ცვლილებით, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პრაქტიკის ობიექტების ჩამონათვალიდან ერთ-ერთის ქ. თბილისში მდებარეობის გამო, ვიზიტი დაიწყო დაწესებულების წარმომადგენელთან ერთად თბილისში მდებარე ფსიქიატრიული კლინიკიდან. შემდგომში მოხდა დაწესებულების წარმომადგენლებთან შეხვედრა და სამუშაო დღის მანძილზე დაწესებულების მიერ ეტაპობრივად წარმოდგენილი საჭირო/მოთხოვნილი დოკუმენტების შესწავლა. რეგულაციების შესწავლის შედეგად წამოჭრილი საკითხების დაზუსტებისა და ინდიკატორების მოთხოვნებთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით ექპერტებმა ჩაატარეს შესაბამისი პირების ინტერვიურება. ექსპერტები გაესაუბრნენ დაწესებულების შემდეგ წარმომადგენლებს: დირექტორი, დირექტორის მოადგილე, ხარისხის მართვის მენეჯერი, სასწავლო პროცესის და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი, ასევე პროგრამის ხელმძღვანელი, თანახელმძღვანელი, ბიბლიოთეკის გამგე, პრაქტიკის ობიექტების ხელმძღვანელები და პროფესიული განათლების მასწავლებლები.

ექსპერტებმა დაათვალიერეს პროგრამის განხორციელებისთვის სასწავლო პროცესის წარმართვისთვის მოწყობილი სასწავლო გარემო, აუდიტორიები, რომლებიც შემოწმდა საჭირო ინვენტარისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გათვალისწინებით, ასევე პროგრამის შემადგენელი მოდულებით გათვალისწინებული სასწავლო რესურსის /სახელმძღვანელო რესურსის შესაბამისობის მიზნით გადამოწმდა ბიბლიოთეკა. ექსპერტები იმყოფებოდნენ პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების ობიექტებზე. ვიზიტის დასასრულს დაწესებულების წარმომადგენლებს ჰქონდათ შესაძლებლობა გაცნობოდნენ ვიზიტის ძირითად მიგნებებს და რეკომენდაციებს . დაწესებულებამ ექსპერტების შეუფერხებელი მუშაობისთვის და პრაქტიკის ობიექტებზე ვიზიტისთვის სრულად უზრუნველყო პირობები, ვიზიტმა ჩაირა მშვიდ, თანამშრომლობით და საქმიან გარემოში.
აღსანიშნავია, რომ კოლეჯმა გასულ წლებში ორჯერ წარმოადგინა განაცხადი „საექთნო განათლება“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ და ავტორიზაციის საბჭოს მიერ ორივე შემთხვევაში პროგრამის დამატებაზე დაწესებულებას ეთქვა უარი. ახალი ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა განიხილა ადრინდელი ვიზიტების ფარგლებში გაცემული ყველა რეკომენდაცია და დასკვნაშიც აისახა, რომ კოლეჯმა ყველაფერი გაითვალისწინა და გამოასწორა. ამ ეტაპზე, ორივე ლოკაციისთვის დასკვნა არის დადებითი.

რეკომენდაციების შეჯამება
კომპონენტი 2.2. კრიტერიუმი 2.2.1. პედიატრიული მიმართულების მოდულების - „კლინიკური პრაქტიკა - პედიატრიული და მოზარდები“ და „შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა-პედიატრიული და მოზარდები“ - განხორციელება შეუძლებელია შპს ყამბარაშვილის კლინიკაში, მაგრამ ხელშეკრულებაში მაინც არის მითითებული. დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით აღნიშნული ტექნიკურად არის ჩარჩენილი შპს ყამბარაშვილის კლინიკასთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში შესაბამისად, ისინი უნდა იქნას ამოღებული შპს ყამბარაშვილის სახელობის კლინიკასთან დადებული ხელშეკრულების დანართით განსაზღვრული ჩამონათვალიდან და პარტნიორ კლინიკებთან გაფორმებული ხელშეკრულებები მოვიდეს შესაბამისობაში რეალობასთან. ამ მოდულის განხორციელების შესაძლებლობა აქვს სხვა პარტნიორ კლინიკას - შპს „ჯეო ჰოსპიტალს“, რაც დასტურდება ხელშეკრულებით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს კითხვით, განმახორციელებლებთან დაკავშირებით, ერთიდაიგივე განმახორციელებლები ხომ არ ჰყავდათ ორივე ლოკაციაზე.

ექსპერტის განცხადებით, საგანმანათლებლო პროგრამის „საექთნო განათლება“ განხორციელებაში ჩართულია 17 განმახორციელებელი პირი გურჯაანის მუნიციპალიტეტში და ახმეტის მუნიციპალიტეტში და 15, მათ შორის სხვადასხვა პროფილის მოქმედი ექიმი და ექთანია, რომელთაც უდასტურდებათ თეორიული და პრაქტიკული მოდულების განახორციელების შესაბამისი კვალიფიკაცია, გამოცდილება.

შორენა ჯაფარიძემ მიმართა ექსპერტს დაეზუსტებინა მოდული „ავადმყოფის მოვლა“ სად ხორციელდება კოლეჯში, თავის ბაზაზე თუ რომელიმე კლინიკის ბაზაზე.

ექსპერტის თქმით, პირველადი დახმარების და ავადმყოფის მოვლის მოდულების განხორციელება ხდება კოლეჯში, სადაც მოწყობილია შესაბამისი გარემო, წარმოდგენილია ყველა საჭირო ინვენტარი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია. კოლეჯის დირექტორმა მადლობა გადაუხადა ექსპერტებსა და საბჭოს წევრებს შეფასებისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა კითხვები. საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - კოლეჯ აისისთვის გურჯაანის მუნიციპალიტეტში „საექთნო განათლების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 8
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - კოლეჯ „აისს“ (ს/კ: 2277708000) მიენიჭოს უფლება გურჯაანის მუნიციპალიტეტში დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული „საექთნო განათლების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **(დანართი 3).** გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2023 წლის 7 მარტი.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - კოლეჯ აისისთვის ახმეტის მუნიციპალიტეტში „საექთნო განათლების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 8
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - კოლეჯ „აისს“ (ს/კ: 2277708000) მიენიჭოს უფლება ახმეტის მუნიციპალიტეტში დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული „საექთნო განათლების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **(დანართი 4).** გადაწყვეტილ ების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2023 წლის 7 მარტი.

საბჭოს სხდომას შემოუერთდა გიორგი ვეკუა.

მეხუთე საკითხი: სსიპ კოლეჯ ლაკადაში საგანმანათლებლო პროგრამების - "ხის მხატვრული დამუშავება" და "შედუღება" - ფარგლებში განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფების დასკვნებსა და დასკვნის პროექტებზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციებს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფების დასკვნებს. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნებს. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფების დასკვნები დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე ქეთევან ჯანელიძე მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო ვიზიტის საერთო მიმოხილვით. მან აღნიშნა, რომ პრეზენტაციას წარადგენდა თავად დარგის ექსპერტებთან ერთად.
ექსპერტის განცხადებით, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2022 წლის 11 იანვრის ბრძანების (N13639) საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო სსიპ კოლეჯ "ლაკადას" საგანმანათლებლო პროგრამების "შედუღება" და „ხის მხატვრული დამუშავება“ მონიტორინგის მიზნით წარმოდგენილ დოკუმენტაციას. ვიზიტი შედგა 2023 წლის 30 იანვარს. ექსპერტთა ვიზიტი ჩატარდა წინასწარ შეჯერებული დღის წერიგის შესაბამისად, რომლის ფარგლებში. შედგა შეხვედრა დაწესებულების ხელმძღვანელთან. ჩატარდა გასაუბრება ხარისხის უზრუნველყოფაზე, დაწესებულების ადამიანური რესურსების, მატერიალური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელ პირებთან, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელებთან და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, პროფესიულ სტუდენტებთან. საგანმანათლებლო და მატერიალური რესურსები. ასევე შემოწმდა კოლეჯის ბიბლიოთეკა და ჯგუფი გაესაუბრა ბიბლიოთეკარს. განხორციელდა ვიზიტი პროგრამების C გარემოში, ადგილზე ჩატარდა გასაუბრება აღნიშნულ გარემოზე და იქ განთავსებულ მატერიალურ რესურსზე პასუხისმგებელ პირებთან. კოლეჯის წარმომადგენლებმა გასაუბრების დროს ამომწურავად უპასუხეს დასმულ შეკითხვებს. ვიზიტი განხორციელდა მშვიდ და თანამშრომლობით გარემოში.

წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა
საგანმანათლებლო პროგრამა „შედუღება“ გაუმჯობესების რეკომენდაცია:
ინდიკატორი 2.4.1. (3)

მოდულებში გაწერილია სწავლა/სწავლების ისეთი მეთოდები, როგორიცაა - ორიენტირებული სასწავლო ოთახზე/სახელოსნოზე. გასწორდეს მოდულებში აღნიშნული ჩანაწერი და დაზუსტდეს სწავლა/სწავლების მეთოდები.
რეკომენდაცია შესრულებულია: მოდულებში სწავლა/სწავლების მეთოდებია: ლექცია, დისკუსია, პრაქტიკული სამუშაო, პრაქტიკული დავალება, დემონსტრირება და სხვა. პროგრამის განმახორციელებელ პირს შეუძლია აღნიშნული მეთოდები შეცვალოს საჭიროების შესაბამისად მოდულის სპეციფიკის გათვალისწინებით.

განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „შედუღება“

პროგრამაში არის მოდული „ჯანმრთელობის დაცვა და შრომის უსაფრთხოება სამუშაო ადგილზე“ რომელიც აღნიშნული სასწავლო გეგმით იწყება მეექვსე კვირას და გრძელდება ათი კვირის განმავლობაში. სასურველია აღნიშნული მოდულის განხორციელება წინ უსწრებდეს დარგობრივი მოდულების დაწყებას. შესაბამისად ეს უფრო მეტად უზრუნველყოფს პროგრამის უსაფრთხოდ განხორციელებას და აღნიშნული მოდულის ფარგლებში მიღებული ცოდნის პრაქტიკულ გამოყენებას.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „შედუღება“

ექსპერტის განცხადებით, ვიზიტის დროს ასევე დათვალიერდა „შედუღების“ პროგრამის მშენებარე C გარემო - პრაქტიკის სივრცე ამჟამად არის შავი კარკასი(არ იყო ჯერ გადახურული) და შესყიდვის პროცესშია აღჭურვილობა. დირექტორის განმარტებით სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსა და შპს "ბადი"-ს შორის 2022 წლის 29 მარტს გაფორმებული ხელშეკრულების N320702/03/75 თანახმად, დაიწყო სასწავლო სახელოსნოს მშენებლობა, ტენდერში გამარჯვებულმა პირველმა კომპანიამ ვერ შეასრულა ნაკისრი ვალდებულება, გამომდინარე აქედან, მიმდინარე წლის 4 ნოემბერს სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსა და შპს „ბილდ მენეჯმენტი“ გაფორმდა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N320702/03/237 რომლის თანახმად სამშენებლო სამუშაოები დასრულდება 2023 წლის მარტში. ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა მიმდინარე მშენებლობა.

დაწესებულებამ წარმოადგინა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან მიწერილი წერილი, თანამედროვე სტანდარტის შედუღების სახელოსნოს პროექტირებისა და მშენებლობის საჭიროების შესახებ. წერილიდან დგინდება, რომ დაწესებულებამ სამინისტროს გადასცა საჭირო აღჭურვილობის ჩამონათვალი და ინვოისი. დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა წერილი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ, საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს დირექტორისადმი მიწერილი წერილი, წერილში აღნიშნულია, რომ „დეპარტამენტი გაეცნო წარმოდგენილ კორესპონდენციას, იზიარებს კოლეჯის ,,ლაკადა'' მოთხოვნას და თანახმაა, საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტომ ზემოაღნიშნულზე განახორციელოს შესაბამისი რეაგირება“. ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად განსაზღვრული A და B გარემო. აუდიტორიები აღჭურვილია სადემონსტრაციო საშუალებებით, დაფებით, სტუდენტების კომპიუტერებით მასწავლებლისთვის სამუშაო ადგილით (მაგიდა, სკამი, კომპიუტერი, პრინტერი). რომელთა ფლობაც დასტურდება მიღება-ჩაბარების აქტებით, საინვენტარო ჟურნალით/ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაციით. დაწესებულებას აქვს 2 კომპიუტერული გარემო. დაწესებულებამ წარმოადგინა აუდიტორიების გამტარობის

ცხრილი, რომლის მიხედვით აღნიშნული აუდიტორიების დატვირთვა არ ქმნის არავითარ პრობლემას დაგეგმილი სასწავლო პროცესის შეუფერხებლად განხორციელებისათვის.

რაც შეეხება პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკული სწავლის შედეგების მიღწევას, უზრუნველყოფილია დაწესებულების პარტნიორი სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით, რაც დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით. სამუშაოების დასრულებამდე პრაქტიკული კომპონენტის განსახორციელებლად დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება კომპანია „ჯეო მარკთან“ (ხელშეკრულება მოიცავს ყველა დარგობრივ, პრაქტიკულ მოდულს). ხელშეკრულების ფარგლებში კომპანია მიიღებს 30 სტუდენტს. დაწესებულებას ასევე გაფორმებული აქვს მემორანდუმი „ჯიხა მოტორსთან“, რომელიც ითვალისწინებს პრაქტიკის ობიექტზე ერთდროულად 15 პროფესიული სტუდენტის მიღებას და უზრუნველყოფს მოდულების: „ლითონების შედუღება ინერტული (MIG) და აქტიური (MAG) აირის გარემოში“ და „შედუღება ვოლფრამის (TIG) ელექტროდით ინერტულ აირში“ განხორციელებას. პროგრამის განმახორციელებელი პირი თავად არის ერთ-ერთი კომპანიის თანამშრომელი. ექსპერტებმა მოინახულეს პრაქტიკის ობიექტები. კომპანიები აღჭურვილია მოდულების განხორციელებისათვის საჭირო ინვენტარით, მატერიალური რესურსით და იღებენ ვალდებულებას, რომ უზრუნველყონ პროფესიული სტუდენტების უსაფრთხო სამუშაო გარემოში სწავლებას. ვიზიტის დროს მიმდინარეობდა სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ხუთი დარგობრივი მოდული საიდანაც ორი მოდული „ლითონების შედუღება ინერტული (MIG) და აქტიური (MAG) აირის გარემოში“ და „შედუღება ვოლფრამის (TIG) ელექტროდით ინერტულ აირში“ ხორციელდებოდა „ჯიხა მოტორსში“, ხოლო სამი მოდული „შედუღების მასალები და მათი მახასიათებლები“, „ლითონის თერმული 11 ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: დამუშავება“ და „შესადუღებელი მასალების ტექნიკური მონაცემების გამოყენება-დოკუმენტირება“ კომპანია „ჯეო მარკში“. პრაქტიკის ობიექტთან გაფორმებულ ხელშეკრულებას თან ახლავს პარტნიორი ორგანიზაციის მიერ პრაქტიკის კომპონენტისთვის გამოყოფილი მატერიალური რესურსის ნუსხა, პრაქტიკის ობიექტზე განსახორციელებელი მოდულების ჩამონათვალი.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ხის მხატვრული დამუშავება“

ექსპერტის განცხადებით, ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად განსაზღვრული A და B გარემო. აუდიტორიები აღჭურვილია სადემონსტრაციო საშუალებებით, დაფებით, სტუდენტების კომპიუტერებით მასწავლებლისთვის სამუშაო ადგილით (მაგიდა, სკამი, კომპიუტერი, პრინტერი). რომელთა ფლობაც დასტურდება მიღება- ჩაბარების აქტებით, საინვენტარო ჟურნალით/ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაციით. დაწესებულებას აქვს 2 კომპიუტერული გარემო. დაწესებულებამ წარმოადგინა აუდიტორიების გამტარობის ცხრილი, რომლის მიხედვით აღნიშნული აუდიტორიების დატვირთვა არ ქმნის არავითარ პრობლემას დაგეგმილი სასწავლო პროცესის შეუფერხებლად განხორციელებისათვის. აღნიშნულის გათვალისწინებით პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით . პროგრამის „ხის მხატვრული დამუშავება“ C გარემო მდებარეობს კოლეჯის ძირითადი სასწავლო შენობიდან დაბა ჯვარიდან 5 კილომეტრში მდებარე დასახლება ფოცხოეწერში განლაგებულ ახლად აშენებულ თანამედროვე შენობაში. სტუდენტების ამ სივრცეში გადაადგილება განხორციელდება ორგანიზებულად სსიპ კოლეჯ „ლაკადას“ მიერ, შესაბამისი ტრანსპორტის მიერ.(აღნიშნულთან დაკავშირებით

წარმოდგენილი იქნა შესაბამის დოკუმენტაცია) პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს დაეფიქსირებინა საკუთარი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელი მიესალმა დამსწრე პირებს და მადლობა გადაუხადა ექპერტებს შეფასებისთვის.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა კითხვები. საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ კოლეჯ ლაკადაში განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 9
წინააღმდეგი:0

გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ - კოლეჯ "ლაკადაში" (ს/კ: 242728679) საგანმანათლებლო პროგრამების "ხის მხატვრულიდამუშავება" და "შედუღება" განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით. გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2023 წლის 7 მარტი.

საბჭოს სხდომა დატოვა გიორგი ვეკუამ.

მეექვსე საკითხი: სსიპ - კოლეჯ "თეთნულდის" საგანმანათლებლო პროგრამის "ხის მხატვრული დამუშავება" მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფების დასკვნებსა და დასკვნის პროექტებზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციებს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის

წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფების დასკვნებს. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნებს. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფების დასკვნები დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე ქეთევან ჯანელიძე მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო ვიზიტის საერთო მიმოხილვით. მან აღნიშნა, რომ პრეზენტაციას წარადგენდა თავად დარგის ექსპერტთან ერთად.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2023 წლის 11 იანვრის ბრძანების საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო სსიპ კოლეჯ "თეთნულდის" საგანმანათლებლო პროგრამის „ხის მხატვრული დამუშავება“ მონიტორინგის მიზნით წარმოდგენილ დოკუმენტაციას. ვიზიტი შედგა 2023 წლის 1-ელ თებერვალს. ექსპერტთა ვიზიტი ჩატარდა წინასწარ შეჯერებული დღის წესრიგის შესაბამისად, რომლის ფარგლებში. შედგა შეხვედრა დაწესებულების ხელმძღვანელთან. ჩატარდა გასაუბრება ხარისხის უზრუნველყოფაზე, დაწესებულების ადამიანური რესურსების, მატერიალური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელ პირებთან, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელებთან და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, პროფესიულ სტუდენტებთან.
ექსპერტთა ჯგუფის მიერ დათვალიერებულ იქნა პროგრამებთან მიმართებაში დაწესებულების სასწავლო გარემო/ ინფრასტრუქტურა, საგანმანათლებლო და მატერიალური რესურსები. ასევე შემოწმდა კოლეჯის ბიბლიოთეკა და ჯგუფი გაესაუბრა ბიბლიოთეკარს. განხორციელდა ვიზიტი პროგრამების C გარემოში, ადგილზე ჩატარდა გასაუბრება აღნიშნულ გარემოზე და იქ განთავსებულ მატერიალურ რესურსზე პასუხისმგებელ პირებთან. ვიზიტის დროს შემოწმდა თუ რამდენად შესრულდა წინა ვიზიტის დროს გაცემული განმავითარებელი რეკომენდაციები. ამ ეტაპზე შესრულებულია მხოლოდ პრაქტიკის ობიექტებთან დაკავშირებული რეკომენდაცია, ხოლო დანარჩენი შესრულების პროცესშია. კოლეჯის წარმომადგენლებმა გასაუბრების დროს ამომწურავად უპასუხეს დასმულ შეკითხვებს. ვიზიტი განხორციელდა მშვიდ და თანამშრომლობით გარემოში.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დროს პროგრამის ფარგლებში არ იგეგმებოდა პრაქტიკის ობიექტებთან თანამშრომლობა, შესაბამისად დაწესებულებას არ ჰქონდა პრაქტიკის ობიექტებთან გაფორებული ხელშეკრულებები. დარგის ექსპერტის მიერ რეკომენდაცია გაეწია რეგიონში მოქმედ რამდენიმე სახელოსნოს, რომელიც შესაძლებელია ჩართულიყო პროგრამის განხორციელების პროცესში, თუნდაც სასწავლო ვიზიტის ფარგლებში. აღნიშნული რეკომენდაცია დაწესებულებამ გაითვალისწინა და მიმდინარე ჯგუფისათვის პრაქტიკული კომპონენტის განსახორციელებლად დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება ინდივიდუალურ მეწარმე „შალვა გულედანთან“ და ინდ.მეწარმე „ზურაბ ფილფანთან“ (ორივე ხელშეკრულება მოიცავს ყველა დარგობრივ, პრაქტიკულ მოდულს). ორივე ხელშეკრულება ითვალისწინებს 15-15 პროფესიული სტუდენტის მიღებას ერთ საწარმოში. სულ 30 პროფესიულ სტუდენტს. პროგრამის განმახორციელებელი პირი თავად არის ერთ-ერთი პარტნიორი პირი. ექსპერტებმა მოინახულეს ორივე პრაქტიკის ობიექტი. ობიექტები წარმოადგენს მოქმედ ხის დამამუშავებელ საწარმოებს, რომლებიც აღჭურვილია მოდულების განხორციელებისათვის საჭირო ინვენტარით, მატერიალური რესურსით და იღებენ ვალდებულებას, რომ უზრუნველყონ პროფესიული სტუდენტების უსაფრთხო სამუშაო გარემოში სწავლებას. გაფორმებულ ხელშეკრულებებს თან ახლავს შეთანხმების სახით პარტნიორი ორგანიზაციის მიერ პრაქტიკის კომპონენტისთვის საჭირო მატერიალური რესურსის ნუსხა, პრაქტიკის ობიექტზე განსახორციელებელი მოდულების ჩამონათვალი.

ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად განსაზღვრული A და B გარემო, რომლებიც გათვლილია 15-15 პროფესიული სტუდენტზე. აუდიტორიები აღჭურვილია სადემონსტრაციო საშუალებებით, დაფებით, სტუდენტების კომპიუტერებით მასწავლებლისთვის სამუშაო ადგილით (მაგიდა, სკამი, კომპიუტერი, პრინტერი), რომელთა ფლობაც დასტურდება მიღება-ჩაბარების აქტებით, საინვენტარო ჟურნალით/ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაციით. დაწესებულებამ წარმოადგინა აუდიტორიების გამტარობის ცხრილი, რომლის მიხედვით აღნიშნული აუდიტორიების დატვირთვა არ ქმნის არავითარ პრობლემას დაგეგმილი სასწავლო პროცესის შეუფერხებლად განხორციელებისათვის. ვიზიტის დროს ასევე დათვალიერდა „ხის მხატვრული დამუშავების“ პროგრამის რემონტის მდგომარეობაში მყოფი C გარემო. ამ ეტაპისთვის დასრულებულია სატენდერო პროცესი და გამარჯვებულმა კომპანიამ უკვე დაიწყო მოსამზადებელი სარეაბილიტაციო სამუშაოები, შესყიდულია სარემონტო მასალის ნაწილი. ზამთრის მკაცრი პირობების გამო ამჟამად სამუშაოები შეჩერებულია. კოლეჯის ტერიტორიაზე არსებული ხის მხატვრული დამუშავების პროგრამისათვის სახელოსნოს (C გარემოს) რემონტის დასრულება იგეგმება სასწავლო წლის ბოლოსათვის. რაც შეეხება პროგრამით გათვალისწინებულ აღჭურვილობას ვიზიტის დროს სრულად იყო შესყიდული, რის შესახებაც დაწესებულებამ წარმოადგინა შესყიდვის დოკუმენტაცია. ექსპერტთა ჯგუფის მიერ დათვალიერებულ იქნა აღნიშნული აღჭურვილობა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტს კითხვით არის თუ არა შესაძლებელი პრაქტიკის ობიექტზე განხორციელდეს სასწავლო პროცესი.

ექსპერტის განცხადებით, ჩარხები, რომლებიც არის წარმოდგენილი პრაქტიკის ობიექტზე სრულად აკმაყოფილებს მოთხოვნებს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს დაეფიქსირებინა საკუთარი პოზიცია.
ირმა ჯაფარიძე მიესალმა დამსწრე პირებს და მადლობა გადაუხადა ექსპერტებს შეფასებისთვის. მისი განცხადებით, წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების ვერ შესრულების ერთ-ერთ მიზეზი გახდა ის, რომ რამოდენიმეჯერ ჩავარდა ტენდერი. ამჟამად, ტენდერში გაიმარჯვა კომპანიამ, რომელსაც აქვს დიდი გამოცდილება ბაზარზე. კომპანიის მიერ ჯერ კიდევ იანვარში განახორციელდა ქმედითი სამუშაოები, მაგრამ ზამთრის მკაცრი პირობებიდან გამომდინარე შეჩერებულები არიან, გაზაფხულიდან განახლდება სამუშაოები. ამიტომ დაწესებულებამ პრაქტიკული სწავლის შედეგები გაიტანა პარტნიორ კომპანიებთან, რაც ექსპერტთა მიერ შეფასდა დადებითად.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა კითხვები. საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - კოლეჯ "თეთნულდის" საგანმანათლებლო პროგრამის "ხის მხატვრული დამუშავება" მონიტორინგის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 8
წინააღმდეგი:

გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, შეწყდეს ადმინისტრაციული

წარმოება სსიპ - კოლეჯ "თეთნულდში" (ს/კ: 235891512) საგანმანათლებლო პროგრამის "ხის მხატვრული დამუშავება" განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით. გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2023 წლის 7 მარტი.

დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხების განხილვის შემდეგ, 16:22 საათზე ავტორიზაციის საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ჯაფარიძე შორენა

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ქუჩულორია მარიამ

დანართი 1

პროგრამის სახელწოდება	მეფუტკრეობა
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია მეფუტკრეობაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0811
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი, სოფელი შრომა
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	30
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე მოთხოვნილი საერთო კვოტის ფარგლებში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	60
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	75

დანართი 2

პროგრამის სახელწოდება	ვეტერინარია
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ვეტერინარიაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0841
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	გურჯაანის მუნიციპალიტეტი, სოფელი კაჭრეთი
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	45
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე მოთხოვნილი საერთო კვოტის ფარგლებში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	150

დანართი 3

პროგრამის სახელწოდება	საექთნო განათლება
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საექთნო საქმეში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0913
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	გურჯაანის მუნიციპალიტეტი, სოფელი კაჭრეთი
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური (კოოპერაციული)
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	28
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე მოთხოვნილი საერთო კვოტის ფარგლებში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	180
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	210

დანართი 4

პროგრამის სახელწოდება	საექთნო განათლება
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საექთნო საქმეში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0913
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ახმეტის მუნიციპალიტეტი, სოფელი ქვემო ალვანი
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური (კოოპერაციული)
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	28
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე მოთხოვნილი საერთო კვოტის ფარგლებში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	180
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	210